

# ეპისტემოლოგიური მიკერძობა

საბუნებისმეტყველო და სოციალურ  
მეცნიერებებში

# EPISTEMOLOGICAL BIAS

in the Physical & Social Sciences

Edited By: Abdelwahab M. Elmessiri

THE INTERNATIONAL INSTITUTE OF ISLAMIC THOUGHT

იასი-ს წიგნების სერია

# ეკისტიმოლოგიური მიკერძოება

საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში

რედაქტორი: აბდელვაჰაბ მ. ელმესირი



International Institute  
of Islamic Thought



გამომცემლობა „პანიკრსალი“  
თბილისი 2023

ეპისტემოლოგიური მიკროკოზმის  
საზღვრებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში (Georgian)  
აბდელვაჰაბ მ. ელმესირი  
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
1444ჰ/2023  
Paperback ISBN: 978-9941-33-440-5

### **Epistemological Bias in the Physical and Social Sciences (Georgian)**

*Abdelwahab M. Elmessiri*  
*IIIT Books-in-Brief Series*

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT) 2013  
1435AH/2013CE  
Paperback ISBN: 978-1-56564-592-9  
IIIT  
P.O. Box 669,  
Herndon, VA, 20172, USA  
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა დიანა ცეცხლაძემ  
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე  
ფილოლოგიური რედაქტორი: ნაზი კოჩალიძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-  
ვასლა A-508  
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-  
სტიტუტთან თანამშრომლობით  
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-  
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან  
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-  
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.  
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის  
ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023**

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

## იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

**„ეპისტემოლოგიური მიკერძოება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში“**, რომლის რედაქტორი და პირველი სტატიის ავტორი ელმესირია, წარმოადგენს მიკერძოების საკითხზე შექმნილი ნაშრომების ანთოლოგიას, რომელიც თავდაპირველად გამოიცა არაბულ ენაზე იას-ის მიერ, ხოლო შემდგომ ითარგმნა ინგლისურად. „მოკლე წიგნების სერია“ ინგლისური თარგმანის შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს.

ანთოლოგიაში შესულ ნაშრომებში შესწავლილია და გაანალიზებულია საკითხი, რომელიც ფართოდაა მიღებულია მუსლიმურ აკადემიურ სამყაროში აკადემიური ცოდნის არსებით და განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ასპექტად, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენს მეცნიერებისა და აზროვნების დასავლურ ფილოსოფიას. ეს არის ფილოსოფიური პოზიტივიზმის გაბატონების, ისე როგორც პარადიგმების, ტერმინებისა და კვლევის მოდელების თითქმის სრული და უპირობო მიღების საკითხი, რომლებიც სინამდვილეში უცხოა მუსლიმური სამყაროს სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური რეალობებისთვის. ამგვარად, რამდენად სანდოა მათი გამოყენება და სიცოცხლისუნარიანობა? ელმესირისთვის მეთოდოლოგიასა და ტერმინოლოგიაში არსებული მიკერძოება როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკვლევრების წინაშე არსებული პრობლემაა. თუმცა მესამე სამყაროს ინტელექტუალებისთვის ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოღვაწეობენ კულტურულ გარემოში, რომელსაც საკუთარი სპეციფიკური კონცეპტუალური და კულტურული პარადიგმები გააჩნია, ისინი ვერ გაურბიან იმ უცხოურ პარადიგმებს, რომლებიც ცდილობენ მათ წარმოსახვაზე, აზროვნებასა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას. მაშინ რატომ არ უნდა შეიქმნას ახალი მეცნიერება, იდეალურად მორგებული მიზანს, საკუთარი მექანიზმებით, მეთოდოლოგიებითა და ორიენტირებით, რომელიც გადაჭრის ეპისტემოლოგიური მიკერძოების პრობლემას და ამ

სფეროში და მათი წყალობით გახსნის იჯთიჰადის კარიბჭეს?

წინამდებარე სტატიების მიზანია, აღმოაჩინოს ჩვენს ტერმინოლოგიაში, მეთოდოლოგიებში, კვლევის ინსტრუმენტებსა და კონცეპტუალურ პრინციპებში შეფარული მიკერძოება და შემოგვთავაზოს დამოუკიდებლობისა და ნეიტრალურობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე სხვა ალტერნატივები. ეს კეთდება არა დასავლეთის შემოქმედებითი კონტრიბუციების ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დაკნინებისთვის, არამედ მათ „ათვის ნერტილად“ გადაქცევისა და შემდგომ მათი სისწორის გამუდმებით გადამონმების საფრთხისთვის ხაზის გასმისთვის.

-----  
შემოკლებული რედაქცია: ეპისტემოლოგიური მიკერძოება საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში.  
რედაქტორი: აბდელვაჰაბ მ. ელმესირი

ISBN hbk: 1-56564-417-4

ISBN pbk: 1-56564-416-6

2006

## შესავალი

ეს წიგნი იკვლევს მნიშვნელოვან, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩენილ აკადემიურ პრობლემას: მუსლიმთა სამყაროს სოციო-ეკონომიკურ-რელიგიური რეალობისთვის უცხო პარადიგმების, ტერმინებისა და კვლევის მოდელების საყოველთაო მიღებასა და გათავისებას. მკვლევრები ყველგან აწყდებიან მეთოდოლოგია-სა და ტერმინოლოგიაში არსებული მიკერძოების პრობლემას, მაგრამ ყველაზე მწვავედ ეს პრობლემა მესამე სამყაროს ინტელექტუალების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოღვაწეობენ კულტურულ გარემოში, რომელსაც საკუთარი სპეციფიკური კონცეპტუალური და კულტურული პარადიგმები გააჩნია, ისინი მაინც ხვდებიან უცხოურ (დასავლურ) პარადიგმებს, რომლებიც აღწევენ მათ საზოგადოებებში და სააზროვნო პროცესებში.

ამ პარადიგმებს უპირატესობები გააჩნია დასავლეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, თუმცა ისინი ყოველთვის ვერ ერგება სხვა, არადასავლური ხალხების რეალობებს და, აქედან გამომდინარე, შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს. სწავლულები,

რომლებიც უარს ამბობენ საკუთარი ეგზისტენციალური და ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე პარადიგმებსა და ტენდენციებზე, პროცესში ითვისებენ დასავლურ პარადიგმებს და საკუთარ თავს დასავლური თვალთახედვით უყურებენ მაშინაც კი, როცა ეს მათ სანინააღმდეგოდ მიუშაობს. ნებისმიერი თემი საფრთხის ნინაშე დგება მაშინ, როცა შემოტანილი, უცხოური პარადიგმებისა და შეხედულებების გათავისებას იწყებს, ხშირ შემთხვევაში ასეთი პარადიგმების ეპისტემოლოგიური შედეგების ღრმა ცოდნის გარეშეც კი.

არაბული ნაციონალისტური ნააზრევის აღზევებასთან ერთად, უფრო ინტენსიური გახდა საუბარი იდენტობასა და კულტურულ თვითმყოფადობაზე, თუმცა ამას თან არ ახლდა ყოვლისმომცველი და მეთოდოლოგიური კვლევა. დღესდღეობით არაბულ სოციალურ მეცნიერებებში ნეიტრალურობის ნაკლებობა შეიძლება გამოსწორდეს ახალი მეცნიერების ჩამოყალიბებით, რომელიც საკუთარი მექანიზმებით, მეთოდოლოგიებითა და ორიენტირებით გაუმკლავდება ეპისტემოლოგიურ ტენდენციურობას და გზას გაუხსნის იჯთიჰადს, ანუ ინტერპრეტაციას.

მიკერძოება არის ფარული ღირებულებების, რომლებიც საფუძვლად უდევს პარადიგმას და პროცედურებისა და მეთოდოლოგიების, რომლებითაც მკვლევრები ხელმძღვანელობენ, კომბინაცია. რიგ შემთხვევაში მოდელების ან კონცეპტუალური მეტაფორების სახით წარმოდგენილი ეს ღირებულებები ასევე უკავშირდება კვლევის მეთოდოლოგიებს მჭიდროდ უკავშირდება და



მათი განაცალკევება მეტად რთულია. „პროგრესი“ მიესადაგება მეტაფორას, რომელიც ისტორიის მდინარებას ადარებს განსაზღვრულ ნერტილამდე მიმავალ სწორ ხაზს, ციკლურობის საპირისპიროდ.

ბევრი შეფარული ეპისტემოლოგიური მეტაფორა მიკერძოებული და მზა სახით შემოდის დასავლეთიდან და ზღუდავს მკვლევრის აზროვნებასა და კვლევის თავისუფლებას. ეპისტემოლოგიური ტენდენციურობის იდენტიფიცირებისა და განხილვისას ჩვენ შეგვიძლია შევექმნათ ალტერნატიული პარადიგმა. წინამდებარე წიგნში მოცემულია ამ საკითხის თემატური კვლევა და ხდება კონკრეტულ სფეროში ფარული ტენდენციურობის შესწავლა; მოყვანილია კონკრეტული მაგალითები; ახსნილია, თუ როგორ ახდენს გავლენას და როგორ წარმართავს კვლევას ტენდენციურობა; ასვე მოყვანილია მაგალითები, რომლებიც ყურადღების მიღმა დარჩა გაბატონებული მოდელის გამო და რომლებზეც დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ ახალი პარადიგმის გამომხატველი ახალი მეთოდოლოგიის მეშვეობით.

წინამდებარე ნაშრომებში მკვლევრები აღწერენ საკუთარ ტენდენციურობას და წარმოადგენენ ალტერნატიულ გზებს დასავლური კულტურისა და მისი ეპისტემოლოგიური პარადიგმების შესწავლის მიმართ ინტერესის გაზრდის მცდელობისას. ეს ალტერნატიული პარადიგმები ყოველთვის ვერ ანაცვლებენ გაბატონებულ პარადიგმებს, თუმცა შეიძლება მათი გამოყენება არაბული/მუსლიმური საზოგადოებების შესწავლის უფრო კომპლექსურ საშუალებად. იმედოვნებენ, რომ ახალი პა-

რადიგმები შეავსებენ არსებულ გაბატონებულ პარადიგმებს და გააფართოებენ მის პარამეტრებს, გარდაქმნიან რა მათ დასავლურ შეხედულებებზე დაფუძნებული დახურული პარადიგმებისგან ღია უნივერსალურ პარადიგმებად. დამოუკიდებელი არაბული/მუსლიმური პარადიგმა არ შეიცავს დასავლურ კულტურულ ღირებულებების უარყოფას. ახალი პარადიგმა ან განავრცობს პროგრესის კონცეპტის პარამეტრებს ან მთლიანად გათავისუფლდება მისგან. შეიძლება დაკვირვების უფრო რთული და ობიექტური მეთოდის შემუშავება, რათა გადაიჭრას არაბი მკვლევრების მიერ დასავლური ტენდენციური მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გამოყენების პრობლემა.

ამ წიგნის მიზანია, ხაზი გაუსვას ტენდენციურობასთან ბრძოლის შემოქმედებით, რევიოლუციურ ბუნებას და დაეხმაროს მკითხველს, ამოიცნოს და დასძლიოს მიკერძოება. იმედია, ტენდენციურობის შესახებ მეცნიერება (ფიკჰი) საკუთარ წვლილს შეიტანს განსხვავებულის, კონკრეტულისა და ადამიანურის დაცვაში და წინ აღუდგება დეკონსტრუქციულს, აბსტრაქტულს, განზოგადებულსა და არაადამიანურს.

თავი პირველი

**იჯთიჰადის კარიბჭე: ეპისტემოლოგიური მიკერძოების  
შესწავლის შესავალი**

*აბდელვაჰაბ ელმესირი*

ადამიანის ცხოვრება შედგება შესტებისგან, ქმედებებისგან, საქციელისგან, შემთხვევებისგან და ათასობით სხვა ჩვეულებრივი აქტივობისგან. გარდა ისეთი ბუნებრივი ფუნქციისა, როგორცაა, მაგალითად, სუნთქვა, ყოველი ქმედება არის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი არჩევანის მნიშვნელოვანი შედეგი და ასახავს პიროვნების კულტურასა და მსოფლმხედველობას. მაგალითად, საზოგადოების ან ცალკეული პიროვნების გადასახედიდან, შინაგან მარცხს შეუძლია ყველაფერი აქციოს დაცემის გამოხატულებად, მაშინ როცა სხვა საზოგადოებასა თუ ინდივიდისთვის შინაგან გამარჯვება გარდაქმნის იმავე ობიექტებს ტრიუმფის ნიშნად. ასეთი მაგალითი გვიჩვენებს ტენდენციურობის მნიშვნელობასა და განსხვავებულობას.

ყოველი ადამიანის ქცევა კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და გამოხატავს გარკვეულ ეპისტემოლოგიურ პარადიგმასა და პერსპექტივას. პარადიგმა გონებრივი აბსტრაქტული სურათია, წარმოსახვითი კონსტრუქცია და რეალობის სიმბოლური წარმოდგენაა,

რომელიც გამომდინარეობს მენტალური რეკონსტრუქციიდან და დეკონსტრუქციიდან. გონება რეალობიდან კრებს გარკვეულ ელემენტებს - ზოგს უკუაგდება, ზოგსაც ინახავს, ალაგებს მათ პრიორიტეტების მიხედვით და რეალობასთან შესატყვისობის თვალსაზრისით. პარადიგმას შეუძლია გააზვიადოს ის ელემენტები, რომლებსაც არსებითად მიიჩნევს და დააკნინოს დანარჩენები. ყოველი პარადიგმა ეპისტემოლოგიურია თავისი შინაგანი და საბაზისო კრიტერიუმებით, რწმენებით, ჰიპოთეზებითა და პასუხებით.

ტენდენციურობა, ანუ გარკვეული თვალსაზრისის დაცვა, უკავშირდება ადამიანის გონების სელექციურობასა და მის აღქმის პროცესს. ის ორგანულად ინტეგრირებულია ენასა და კულტურაში, ითვალისწინებს ენის სპეციფიკას და გადააქცევს ენას მიკერძოებულ ინსტრუმენტად. მიკერძოება გარდაუვალია და ის წარმოიშვება ადამიანის უნიკალურობისა და არჩევანის თავისუფლების გამო. მიუხედავად საკუთარი შეზღუდულობისა, ადამიანის ენას შესწევს უნარი, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია და დახმარება გასწიოს მიკერძოების დაძლევისა და ეპისტემოლოგიური პარადიგმების შექმნაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონკრეტული კულტურული გამოცდილებიდან წარმოიქმნებიან.

რიგ შემთხვევაში მიკერძოება აშკარა და გააზრებულია, ზოგჯერ კი ის ფარული და გაუცნობიერებელია. გაუცნობიერებელი მიკერძოება მაშინაა, როდესაც მავანი ითავისებს ეპისტემოლოგიურ სისტემას მისი წინაპირობებითა და პრიორიტეტებით და გაუცნობიერებლად

აღიქვამს სამყაროს მხოლოდ ამ პრიზმით. ტენდენციურობა იკვეთება სხვადასხვა ფორმით და თავის გამოვლინებებში ყოველთვის ლოგიკური არ არის.

დასავლური კულტურული პარადიგმისკენ მიკერძოებული გადახრა მსოფლიოში არსებული ტენდენციურობების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მათ, ვინც უარი თქვა ჩვენს მემკვიდრეობაზე, ეს გააკეთეს ამ საქციელის შედეგების გააზრებისა და მემკვიდრეობისა და კულტურის შემოქმედებითი კრიტიკული კვლევის გარეშე. ისლამური სამყარო, რომელიც თავიდანვე ამ კულტურულ ფორმაციასთან მწვავე კონფლიქტში ჩაერთო, საბოლოო ჯამში, გადანანილდა დასავლურ იმპერიალისტურ ძალებს შორის. უკანასკნელ პერიოდში დასავლეთზე დევნამ წაახალისა „მესამე სამყაროს“, მათ შორის ისლამური სამყაროს, ყველა ე.წ. ამაღორძინებელი პროექტი. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა სეკულარულ ლიბერალურ აზროვნებაში, რომელშიც „რენესანსი“ აღნიშნავდა, პირველ რიგში, დასავლური ნააზრევისა და თეორიების გადმოტანას და დასავლური კულტურული პარადიგმის შეთვისებას. შედეგად, პარადიგმის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად, აუცილებელი გახდა არაბული და მუსლიმური საზოგადოებების „რეფორმირება“.

დროთა განმავლობაში ამ მცდელობებმა არაბ ინტელექტუალებში გამოიწვია დასავლური მემკვიდრეობისადმი მიკერძოებული გადახრა და საკუთარი მემკვიდრეობის უგულვებელყოფა. მაღალი თანამდებობების მქონე ეს განათლებული ადამიანები მნიშვნელოვან საფ-

რობეს წარმოადგენენ, რადგან ისინი ახდენენ ღირებულებების სისტემის მორგებას დასავლურ ყაიდაზე და უწევენ პროპაგანდას დასავლურ პარადიგმას. როგორც ნესი, კულტურული პარადიგმა წარმოადგენს ღირებულებათა სისტემის შემცველ სრულყოფილ კოგნიტურ პარადიგმას. თანამედროვე დასავლური პარადიგმა, რომელიც უტილიტარული და რაციონალურ-მატერიალისტურია, საფუძვლად უდევს ამგვარ მაგალითებს, ასევე კაცობრიობის ცოდნის, მეცნიერებებისა და დამოკიდებულებების უმეტეს ნაწილს. ის საკუთარ თავს ავლენს ტერმინოლოგიაში, აქსიომებში, კვლევის მეთოდებსა და პროცედურებში. ეს მატერიალისტური პარადიგმა ყველაზე დომინანტურია, რადგან დასავლეთის იმპერიალიზმმა საკუთარი კულტურული პარადიგმის ინტერნაციონალიზაცია მოახდინა და თავს მოახვია ის უამრავ საზოგადოებას, რამაც შექმნა არასწორი წარმოდგენა მისი უნივერსალურობის შესახებ.

ზემოხსენებული პარადიგმა ეფუძნება ცენტრირებულ ვარაუდებს სამყაროსთან დაკავშირებით, რომელიც იმანენტურია და არა ტრანსცენდენტული. მეორეც, ადამიანური და ბუნებრივი მოვლენები ერთ უსასრულო მთლიანობას წარმოადგენენ, ორივეს მიმართ ერთნაირი ხარისხით ერთი და იგივე კანონები მოქმედებს. ამგვარად, ადამიანები მატერიალურ-ბუნებრივი ნესრიგის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ეს შეხედულება წარმოშობს მიკერძოებას მატერიალურისა და ბუნებრივის მიმართ არამატერილურისა და ადამიანურის საზიანოდ, როგორც აღქმადის, გაზომვადის და რაოდენობრივის

მიმართ უხილავის, თვისობრივის და გაუზომველის საზიანოდ. ამ საყოველთაო, ევოლუციური, ერთხაზოვანი და ბუნებრივი პროცესის მწვერვალად დასავლური საზოგადოებები მიიჩნევა და, შესაბამისად, მისაბამოდ მოდელად განიხილება. თუმცა დამტკიცდა, რომ ბევრი ასეთი დაშვება არასწორია. აღმოჩნდა, რომ ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, სასრულია ადამიანის გონებაც კი.

მსგავსი მიკერძოების დაძლევაში ზოგიერთ მექანიზმს შეუძლია დახმარება გაგვინიოს. მიკერძოების დაძლევისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია გააზრება იმისა, რომ მიკერძოება გარდაუვალია. მიკერძოების დასადგენად მიმართული ჩვენი თეორიული ძალისხმევა უნდა მოიცავდეს დასავლური ფილოსოფიის მთელ თეორიულ სტრუქტურას. უფრო რადიკალური, კომპლექსური და ყოვლისმომცველი თვალსაზრისი უნდა ეფუძნებოდეს იმ დაშვებას, რომ არ არსებობს ერთადერთი ისტორიული თუ კულტურული გზა. ჩვენ უნდა ვიყოთ გახსნილები მსოფლიოს განსხვავებული ცივილიზაციებისათვის და სარგებელი მივიღოთ მათი კულტურული და ინტელექტუალური ტრადიციებისგან, რომლებსაც შეუძლიათ გააღრმავონ კაცობრიობის, საზოგადოებისა და ბუნების ჩვენეული გაგება. მიკერძოების აღმოფხვრის პროცესში ჩვენ უნდა შევქმნათ ალტერნატიული პარადიგმა, რომელშიც გამოყენებული იქნება კაცობრიობის ყველა ადრეული გამოცდილება, და არ უნდა გამოირიცხოს დასავლური გამოცდილებაც.

შემოთავაზებული ალტერნატიული პარადიგმა და მეცნიერული მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი

საკუთარი ისლამური გამოცდილებიდან, მუშაობდეს ყოვლისმომცველი თეორიის შესაქმნელად, ინყებოდეს ცოდნით იმის შესახებ, რომ ადამიანს სამყაროში ცენტრალური ადგილი უკავია, შეიცავდეს არამატერიალურ კატეგორიას, ოპერირებდეს გენერაციულად (არაკუმულაციურად), გზა გაუხსნას სრულქმნის შემოქმედებით ძიებას და მუდმივ იჯთიჰადს.

## თავი მეორე

### **მიკერძოება აზროვნების დასავლურ სკოლებში: ჩვენი მემკვიდრეობა, როგორც განვითარებისთვის ათვის ნერტილი**

*ადელ ჰუსეინი*

არაბული და მუსლიმური სამყარო შევიდა ტრადიციული კონცეპტებისა და პოზიციების ინტელექტუალურ და თეორიულ დონეზე კრიტიკული გადაფასების ფაზაში. დიდი ხნის განმავლობაში სოციალური მეცნიერებები ეყრდნობოდნენ მიღებულ თეორიებს, რომლებიც ხელს უშლიდა ჩვენს მეცნიერებს პრაქტიკის გზით საკუთარი კრიტიკული დაკვირვებების ფორმულირებაში. ეპისტემოლოგიის სფეროში განმანათლებლობის ეპოქის ცნებების უზენაესობა ნიშნავდა საზოგადოებრივ საქმეებში „სეკულარიზმის“ უპირატესობას. დასავლური მიდგომის



მიზანია, გააერთიანოს სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ჩვენც აღმოსავლეთში გავითავისეთ იგივე მიდგომა. ამასთანავე, აკადემიური ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად, ობიექტურად, უნივერსალურად, სანდოდ და მეცნიერულად ასალიარებლად სოციალურ მეცნიერებებს სჭირდებათ მყარ ცოდნაზე დაფუძნება, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ადამიანთა ყველა საზოგადოებას და მათ შესაბამის ისტორიებს.

სოციალური მეცნიერებების შეზღუდულ (დასავლურ) ჩარჩოებში თეორიული მოდელები უმთავრესად ფოკუსირდებოდნენ შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ კონფლიქტზე, სეკულარულ კონცეპტებსა და მატერიალისტური პროგრესის იდეებზე. ფაქტობრივად, თანამედროვე ეპოქაში დასავლური ცივილიზაციების წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები ველარ პოულობენ გამოსავალს დასავლური ცივილიზაციის სოციალურ და ეკონომიკურ დონეებზე - ეს ფენომენი ჯერ კიდევ საჭიროებს დეტალურ შესწავლასა და ანალიზს. ვაწყდებით რა სხვადასხვა კითხვასა და გამოწვევას დასავლური გამოცდილების მქონეთა მხრიდან, ჩვენ გვჭირდება განსხვავებული აზროვნებისა და მეთოდოლოგიების მქონე სკოლების განვითარება.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში სტანდარტულ თეზისად მიიჩნეოდა ის, რომ კლასიკური მეცნიერება წარმოშობით ევროპულია და მომდინარეობს უშუალოდ ბერძნული ფილოსოფიიდან და მეცნიერებიდან. ეკონომიკური დისკურსი ამართლებს უზენაეს ძალას მსოფლიოზე, რომელიც ეკონომიურად დამოკიდე-

ბულია შრომის საერთაშორისო განაწილებაზე. დასავლეთის ფარგლებს მიღმა არსებული სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური მმართველობის ყველა ფორმა ქვედა საფეხურზე მდგომად და განახლებისა და განვითარების უუნაროდ მიიჩნევა. აქედან წარმომდგარი დოგმა ამართლებს იმპერიალიზმსა და დასავლეთის ჰეგემონიას, მათ ყველაზე უარეს გამოვლინებაში.

ჩვენს აღმოსავლურ საზოგადოებებში სოციალური მეცნიერებების დამოუკიდებელი სპეციალისტები სულ უფრო ფრთხილად უდგებიან დასავლური სოციალური თეორიების ინტელექტუალური დამოკიდებულებების გადმოტანას. ეს კრიტიკული შეხედულება კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, როცა ჩვენი ისტორიისა და მემკვიდრეობის თემაზე შექმნილ დასავლურ ნაშრომებში გამოიკვეთა მიკერძოება და წინასწარშექმნილი უარყოფითი აზრი. არაერთმა ემპირიულმა კვლევამ აჩვენა ჩვენი მიღწევების რეალური ღირებულება და დაადგინა ჩვენი საკუთარი ისტორიის მდინარების ზოგიერთი განსაკუთრებული მახასიათებელი. უპირატესობა უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელ თეორიულ პრაქტიკას, რომელიც ეყრდნობა ემპირიულ შედეგებს და გამყარებულია ზოგადი კრიტიკული მიდგომით.

აზროვნების დასავლური სკოლები ამტკიცებენ, რომ ადამიანები ბუნებით მინიერნი (სეკულარულები) არიან და საკუთარ ფიზიკურ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ. ეს შეხედულება ხაზს უსვამს ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ განვითარებას, როგორც მატერიალისტური ინტერესის დაკმაყოფილების გზას. ამ

პროცესში ჩვენ არ უარვყოფთ ზოგიერთ დასავლურ თეორიულ კონსტრუქტს, თუმცა ვახარისხებთ მათ - რა არის დასავლური, რა არის უნივერსალური და რა არის შესაბამისი ჩვენს საკუთარ ღირებულებათა დოქტრინასთან. მაგალითად, ბევრი ასეთი კონცეფცია უკავშირდება სეკულარიზმს და ვერ იქნება შესაბამისი ჩვენს საზოგადოებასთან და ეკონომიკურ სისტემასთან. ჩვენი საზოგადოებისთვის წარმმართველი და მიმართულების მიმცემი უმთავრესად ისლამია. ისლამისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის ზეგავლენით მომავლის ფორმულირება არის დამოუკიდებელი თეორიების ჩამოყალიბებისა და თანამედროვე ფიკჰისა და იჯთიჰადის პასუხისმგებლობა.

განვითარებადი ქვეყნებისთვის დომინანტ ერებთან დამოუკიდებელი ეკონომიკისა და კულტურული განვითარების საკითხებზე ურთიერთობისას თავდაჯერებულობა უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს. ამ მიზნის სერიოზული სახით შეთვისება და განხორციელება იქნება რადიკალური გადატრიალება ცხოვრების ყველა ასპექტში. განვითარების პოლიტიკა ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ ფეხი აუბას ამ პროცესს.

ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ზოგადი სტრატეგია, რომლის უმთავრესი მიზანიცაა დამოუკიდებლობის მიღწევა, სავარაუდოდ, შემდეგ ექვს პრინციპს გააერთიანებს: გარე სამყაროსთან ურთიერთქმედება, თვითუზრუნველყოფა, სახელმწიფოს როლი დამოუკიდებლობის მხარდაჭერაში, ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციის სტრატეგია, გადანაწილება და

განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი. განვითარების სოციალური მხარე ეფუძნება მასების მობილიზებას. დამოუკიდებელი განვითარების რეალიზებისთვის ჩვენი უმთავრესი საშუალება სოციალური აქტივობის კონცეფციაა, რომელიც მიმართულია განსხვავებული და მოქიშპე ენერჯიების მობილიზებაზე კონკრეტული საზოგადოების - ერის ფარგლებში შესაბამისი ინსტიტუციების მეშვეობით.

როგორც წესი, უდიდეს რევოლუციებს ასაზრდოებს მყარი დოქტრინა და, კერძოდ, ისლამი სწორედ ასეთ დოქტრინას წარმოადგენს. დამოუკიდებლობის მოდელი გულისხმობს დაუნდობელ კონფრონტაციას გაბატონებულ ძალებთან კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფრონტებზე. მოდელი ასევე განასახიერებს ბრძოლას იმ ინტერესებთან, რომლებიც ჩვენს ინტერესებს რადიკალურად ეწინააღმდეგება.

## თავი მესამე

### **პოლიტიკური განვითარების თეორიები: მიკერძოებული დისკურსი პოლიტიკურ მეცნიერებებში**

*ნასრ მ. არიფი*

ნებისმიერი აკადემიური ნაშრომი წარმოადგენს იმ საზოგადოების კულტურის გამოხატულებას, რომელშიც ჩამოყალიბდა ავტორის გონება. შესაბამისად, შეუძლებე-

ლია სრულად გამოყოფის მიღწევა. ეპისტემოლოგიური მასალები დროითა და სივრცით არიან შემოზღუდულები. მიკერძობა უმთავრესად ხასიათდება საკუთარ თავზე ორიენტირებით და „სხვის“ შეფასებაში საკუთარი კრიტერიუმების ხელმძღვანელობით. პოლიტიკური განვითარების თეორიები, რომლებიც განვითარების კონცეფციის არსად მიიჩნევა, მოიცავს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სფეროების ყველა შესაბამის თეორიას. წინამდებარე ანალიზი შეეხება სოციალურ მეცნიერებებში განვითარების თეორიების უმრავლესობის მეთოდოლოგიურ და ფილოსოფიურ საფუძვლებს. შესაძლებელია პოლიტიკური განვითარებისა და მისი საწყისის კონცეფციის გამოყენება იმის დასადგენად, გადააქცია თუ არა ეს თეორიები ტენდენციურობამ ცალმხრივად და ექსკლუზიურად, მართლაც არის ეს თეორიები უნივერსალური და მიესადაგება თუ არა ისინი ადამიანთა საზოგადოებების უმრავლესობას მათი განსხვავებების მიუხედავად.

მეცნიერებისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ადამიანური ან ბუნებრივი ფენომენის შესწავლა, მათი დეტალების თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად. დასავლური აზროვნებისთვის მეცნიერება არის ინტელექტუალური აქტივობა, რომელიც შეისწავლის საგანთა ფაქტობრივ და ობიექტურ მდგომარეობას. დასავლური სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობისა და განვითარების სიღრმისეულმა შესწავლამ აჩვენა, რომ მათ საკუთარი მიდგომები ადამიანური რეალობის გაგებისა და მართვის საკითხებში

საუკეთესო მიდგომებად მიაჩნიათ. რენესანსის ეპოქიდან დაწყებული, გაძლიერდა „არადასავლური საზოგადოებების“ აკადემიური კვლევების ტენდენცია. შესაძლოა, ასეთი კვლევების მიზანი მართლაც აკადემიური იყო, მაგრამ ამ დისციპლინებს უამრავი ხარვეზი ჰქონდა და აკლდა შემოქმედებითი სამეცნიერო პროდუქტის შექმნის უნარი, მიუხედავად დასავლური სოციალური მეცნიერებების კვლევის ინსტრუმენტებისა, მეთოდოლოგიისა და დისკურსის განვითარებისა.

არადასავლური საზოგადოებების შესწავლისადმი მიძღვნილი არაერთი მეცნიერება, შესაძლოა, მიისწრაფვოდა დასავლეთის აღმოსავლეთისგან გამოყოფისკენ, რათა საბოლოო ჯამში გაეკონტროლებინა ის. ანთროპოლოგია ცდილობდა, გაეკონტროლებინა არადასავლური სამყარო, დაესუსტებინა მისი კულტურა და ცივილიზაცია დასავლეთის კულტურასთან შედარებით მისი შემდგომი შთანთქმის მიზნით. კულტურული და სოციო-პოლიტიკური განვითარების თეორიები ემთხვევა არადასავლური სამყაროს შესწავლისადმი მიძღვნილი დასავლური მეცნიერებების ყველა სხვა თეორიის მიღმა მდგომ პოლიტიკურ მიზნებს. ორიენტალიზმი აღზევდა მაშინ, როდესაც „სხვა“ კონკრეტულად აღნიშნავდა ისლამს ანუ რელიგიურ აღმოსავლეთს. პოსტკოლონიალურ პერიოდში ბატონობის ახალმა მოდელმა განადიდა დასავლეთი, როგორც ადამიანური და სოციალური იდეალური მოდელი, რომლისთვისაც სხვა საზოგადოებებს უნდა მიეზღვათ. სანდო და ავტორიტეტულ აკადემიურ წრეებს არ შეუძლიათ შეისწავლონ ეს საზოგადოებები

იმავე ანალიტიკური კატეგორიებით, რომლებსაც ისინი დასავლური საზოგადოებების შესასწავლად იყენებენ. მათ შესასწავლად აუცილებელია დამოუკიდებელი მეცნიერებები.

დასავლური სოციალური მოდელი ახდენს გამარტივებულ ეთნიკურ შეხედულებების პროეცირებას, რომელსაც კაცობრიობა დაჰყავს კატეგორიებამდე - „ისინი“ და „ჩვენ“. ამ მიდგომამ გამოიწვია ეფექტურ კრიტიკიუმებსა თუ ანალიზის საფუძველს მოკლებული ბუნდოვანი კონცეფციების გავრცელება „სხვა“ საზოგადოებების შესახებ. ისინი, ვინც ამგვარად განსაზღვრავს „აღმოსავლეთს“, სერიოზული გამარტივების საფრთხის წინაშე აყენებს მთელ რიგ განსხვავებულ ცივილიზაციებსა და კულტურებს. დანარჩენი კონცეფციები აღწერდნენ „სხვას“, როგორც ჩამორჩენილ, პრიმიტიულ, აგრარულ, არაინდუსტრიალიზებულ „მესამე სამყაროს“. საკვლევ ქვეყნებს პრაქტიკულად არ გააჩნდათ რაიმე სახის ისტორიული ან კულტურული ურთიერთქმედება, თუმცა დასავლეთის მიერ მოხდა მათი ერთ კატეგორიად გაერთიანება, მათი შინაგანი მრავალფეროვნების სრული უგულვებელყოფით.

ორიენტალიზმის აღმოცენებიდან დაწყებული, დასავლელმა მოაზროვნეებმა გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გადაიტანეს საკუთარი საზოგადოებების გამოცდილება არადასავლურ სამყაროზე ისტორიის ძველ, შუა საუკუნეების და ახალ ხანებად დაყოფით; წინ წამოწევენ დასავლური პოლიტიკური მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ სახელმწიფოს კონცეპტს, ხედავ-

დნენ აღმავალ ეტაპების გზით საზოგადოების მხოლოდ სწორხაზოვან განვითარებას და გადაჰქონდათ დასავლური იდეალები და მიზნები სხვა საზოგადოებრივ მოდელებზე. მსგავსი ეგოცენტრული ტენდენციურობა ართმევს „სხვას“ არსებობის უფლებას და ცდილობს, განდევნოს ის მეცნიერებისა და ისტორიის ფარგლებს გარეთ. მიკერძოებული მეცნიერება თავზე ახვევს საკუთარ კატეგორიებს, კონცეფციებსა და მეთოდებს. თუ ზოგადად განვიხილავთ პოლიტიკური განვითარების შესახებ ლიტერატურას, ჩვენ აღმოვაჩინებთ, რომ უარყოფისა და ჩანაცვლების პროცესი ხაზს უსვამს ტრადიციული კულტურის, ინსტიტუციებისა და ეკონომიკის უარყოფას და მათ ჩანაცვლებს თანამედროვე კულტურით, ინსტიტუციებითა და ეკონომიკით.

ტენდენციურობა ხშირად განსაზღვრავს ანალიზის მეთოდს, ინტერპრეტაციის გზებსა და სამეცნიერო კვლევის მიგნებებს. მიუკერძოებელ მკვლევარსაც კი არ შეუძლია განსაზღვროს ტენდენციურობა, რომ არაფერი ვთქვათ მის ნეიტრალიზებაზე ან მისი შედეგების აღმოფხვრაზე. ტენდენციურობის განსაზღვრა და ნეიტრალიზება აუცილებლად უნდა მოიცავდეს სოციო-პოლიტიკურ ფენომენტან ურთიერთქმედების ორ უმთავრეს მეთოდს. პოლიტიკური განვითარების თეორიებში ტენდენციურობის განსაზღვრა არის ცვლილებისა და სოციალური ევოლუციის არსი და ეს პროცესი მოითხოვს მეთოდოლოგიურ მიდგომას.

თუ მკვლევარი ასეთ მიდგომებს იყენებს, შემდეგი ნაბიჯი მისთვის არის საკუთარ კვლევებში ტენდენციუ-



რობის აღმოფხვრა. მაგრამ მთავარ ფაქტორად, რომელიც შეიძლება გაკონტროლდეს სწავლულისა და შემსწავლელის მიერ ეთიკის შესწავლით, კვლავაც რჩება ის რომ სამეცნიერო კვლევა უნდა ეფუძნებოდეს პატიოსნებას, ზნეობრივ კეთილისინდისიერებას, სიმართლისა და სამართლიანობის კრიტერიუმებისადმი ერთგულებას.

თავი მეოთხე

### **მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის წინააღმდეგ სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგიის შემთხვევა**

*რაფიქ ჰაბიბი*

საზოგადოებები ყველგან მიისწრაფიან საკუთარი ტექნოლოგიური მიღწევებისა და სამეცნიერო აქტივობების გაძლიერებისკენ, თუმცა უფრო მეტად წარმადობაზე კონცენტრირდებიან, ვიდრე სამეცნიერო კონცეფციებისა და მეთოდების მართებულობის გადამოწმებაზე. „მესამე სამყაროს“ ქვეყნები იყენებენ მეცნიერებას პროგრესის დონის განსასაზღვრად - პროგრესისადმი მუსლიმთა სწრაფვა გამოვლინდა სხვა, უფრო წინასწარ საზოგადოებებში გაბატონებული სამეცნიერო მოდელების შეთვისებაში და/ან იმიტაციაში. განვითარებული ერების მიერ ადაპტირებული სამეცნიერო პარადიგმა იძენს ლეგიტიმაციასა და მნიშვნელობას, საკუთარი უნარის დამსახურებით შეცვალოს გარემო ისე, როგორც ეს

მისაღებია მსოფლიოს ამ მხარეებში მცხოვრები ადამიანებისთვის. არაბულ სამყაროშიც და სხვაგანაც ადამიანებს გადმოაქვთ საკუთარ ცხოვრებაში სამეცნიერო ინოვაციები იმ ცხოვრების სტილთან და იდეალებთან ერთად, რომლებიც მათ თან ახლავს და ამგვარად ზრდიან კიდევ უფრო მეტი იმპორტირებული ტექნოლოგიის მოთხოვნილებას. მეცნიერება, როგორც ასეთი, არ უნდა განიხილებოდეს, მხოლოდ მიზნად, არამედ უნდა აღიქმებოდეს გარემოს შეცვლის გზით ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებელ საშუალებად.

იმიტაცია ვერასოდეს გაუტოლდება თავდაპირველ მიღწევას. მუსლიმურმა ქვეყნებმა შეძლეს თანამედროვე მეცნიერებების ფორმალური და გამოყენებითი ასპექტების გადმოტანა, მაგრამ არა მათი პოზიტიური სოციალური როლისა. სხვების მიბაძვას ყოველთვის აკლია ჭეშმარიტი პროგრესის უმთავრესი ასპექტი: მეცნიერების ისეთი ახალი მოდელებისა და ცხოვრების ნიმუშების განვითარების უნარი, რომლებიც ასახავენ მუსლიმთა კულტურულ იდენტობას.

დასავლური ფილოსოფიისა და თეოლოგიის ჭეშმარიტი წინსვლა არ დაიწყო მანამ, სანამ დასავლეთმა არ ისწავლა, თუ როგორ უნდა გადაესწრო არაბულ აზროვნებისთვის. საპირისპიროდ, თანამედროვე არაბულმა სამყარომ ვერ დაძლია თავისი მოწინება სხვა ქვეყნების აზროვნებისა და კულტურების წინაშე. „სხვებით“ ამ გატაცებამ იმიტაციის ფაზა უშედეგო გახადა და მხოლოდ არსებული ჩამორჩენილობის გაგრძელებასა და გაძლიერებას შეუწყო ხელი. დიდი ხნის განმავლობაში მუსლიმი

სამყარო დიდსულოვნად აღიარებდა უამრავ უცხოურ კონცეფციასა და ღირებულებას, ამით კი ასუსტებდა საკუთარ იდენტობას და ჰკარგავდა სალი განსჯისთვის აუცილებელ ჭეშმარიტ კრიტერიუმებს.

სხვა ნებისმიერი საქონლის მსგავსად, ხდება მეცნიერების იმპორტირება და მოხმარება. ეს ეხება სოციალურ მეცნიერებებსაც. შეიძლება ცოდნა ფიზიკური და ქიმიური ფაქტების შესახებ უსაფრთხოდ გადაეცეს ერთი საზოგადოებიდან მეორეს, მაგრამ ვერ ვიტყვით იმავს სოციალურ ფაქტებზე. უცხოური ცოდნის გათავისებებას და გამოყენებას შედეგად მოჰყვება უცხო საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და სოციალური რეალობის შეთვისებაც, რომლის საფუძვლებიც არ არსებობს ადგილობრივ საზოგადოებაში. სოციალური მეცნიერებების შემთხვევაში რისკი კიდევ უფრო იზრდება, რადგან მუსლიმ ქვეყნებს უცვლელად გადმოაქვთ სამეცნიერო ცოდნის ფუნქციები და გამოყენების ხერხები, ისე როგორც მთლიანად ცოდნის კორპუსი. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევის მიგნებები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, როცა ისინი საზღვრებს კვეთენ.

უფრო მართებული იქნებოდა კვლევისთვის გამოყენებული კონცეფციებისა თუ კრიტერიუმების ანალიზი, ვიდრე კულტურული ტენდენციურობიდან თავისუფალ მიზნებად მათი უპირობოდ მიღება. სამეცნიერო ობიექტურობის უტოპიური ბუნების თემაზე არსებული ფანატიზმი სერიოზული კრიტიკის ქვეშ აქცევს ნებისმიერ მცდელობას, შეიქმნას სპეციფიკურად არაბული მიდგო-

მა მეცნიერებისადმი. სოციალური მეცნიერება ადვილად შეიძლება იქცეს ეფექტურ იარაღად კულტურული, ქცევითი და მორალური დამოკიდებულების გასაძლიერებლად.

ამერიკული მოდელის შეთვისებამ განვითარებად საზოგადოებებში, განსაკუთრებით კი „მესამე სამყაროში“, შედეგად მოიტანა ამერიკული ღირებულებების გაძლიერება. სადაც მასობრივი მედია საშუალებები და ეკონომიკური დამონირება წარუმატებელი შეიძლება იყოს, სამეცნიერო გამოყენების შემოტანილი პროგრამა, სავარაუდოდ, ფებს მოიკიდებს. ამის შედეგი იქნება დანაწევრებული, ინდივიდუალისტური საზოგადოების დამახინჯებული სახე, რომელიც მოკლებულია კონკურენტუნარიანობას, ინიციატივასა და პროდუქტიულობას.

მოჭამად შაქრუნის აზრით, არაბი ინდივიდი არის „კოლექტიური“ არსება, მაშინ როცა იმპორტირებული მეცნიერება ცდილობს აქციოს არაბები ინდივიდებად, რომლებიც ცდილობენ კონკურენციაში ჩაბმას. ყველაფერი ეს ქმნის დილემას, რომელიც აიძულებს არაბებს, უარი თქვან საკუთარ „კოლექტიურობაზე“ იმპორტირებული ინდივიდუალიზმის სასარგებლოდ. მეორე მხრივ, რადიკალურ ემპირიულ მიდგომას შეუძლია მიუდგეს ყოველ საზოგადოებას საკუთარი ინტელექტუალური და კულტურული ტენდენციებისა და ნორმების, ღირებულებებისა და ეთიკური განსჯის შესაბამისად.

არაბული საზოგადოებები სამეცნიერო პროგრესის ჯერ კიდევ სანყის საფეხურზე დგანან. მათ ესაჭიროე-

ბათ რადიკალური ცვლილებების მომტანი დაჩქარებულად აღმდგენი პროგრამა. ბევრ აღმოსავლურ საზოგადოებაში დღეს არსებული კონფლიქტები არა იდეოლოგიასთან, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებასა და პერიფერიულ სისტემურ დეტალებთანაა დაკავშირებული, მცირე ადგილობრივი განსხვავებებით ცალკეულ საზოგადოებებში. კულტურული პროგრესი და განვითარება გამომდინარეობს ინტელექტუალური და იდეოლოგიური შემოქმედებითობისგან, რომელიც განპირობებულია სოციალური სტრუქტურის შიგნით მომხდარი სამეცნიერო რევოლუციებით.

უცხო წარმოშობის მეცნიერების გადმოტანისას არაბულ სამყაროს უბრალოდ ასლის სახით გადმოაქვს სტატიკური ინტელექტუალური ჩარჩოები, რომელსაც უფრო მეტად პატივს მიაგებს, ვიდრე საკუთრივ ინოვაციორებს. არაბული სამყაროს ფსიქოლოგია თავისი საფუძვლით ინდივიდუალურია. ამერიკულმა ფსიქოლოგიამ, რომლის უდიდესი ნაწილი ჩვენ გადმოვიდეთ, ამ ეტაპს გადააბიჯა და გადავიდა ახალ ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს სოციალური და ისტორიული აქცენტები. ლოგიკურად, იმპორტის განმახორციელებელ ქვეყნებში ფსიქოლოგია უნდა ვითარდებოდეს, რადგანაც ახალ სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედებისთვის საჭიროა ცვლილებისა და ხელახლა ფორმულირების მნიშვნელოვანი ხარისხი, მაგრამ, ფაქტობრივად, სხვაგვარად ხდება. დღესდღეობით „ხელშეუხებელ“ ემპირიულ ობიექტურობისადმი ერთგულებისა და იდეოლოგიის მსხვერვის გაერთიანებულმა პრობლემამ გამოიწვია არა-

ბულ სამყაროსა და „მესამე სამყაროში“ სამეცნიერო მოძრაობის შეფერხება.

დამაიმედებელ ალტერნატივა შეიძლება იყოს რადიკალური მენტალური ძალისხმევის სახით წარმოდგენილი დინამიური მსოფლმხედველობა და სერიოზული მზაობა ცვლილებების განსახორციელებლად, რომლებიც მისაღებ და შესატყვის გადანყვეტილებამდე მიგვიყვანს. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება, როდესაც არაბული სამყარო დაძლევს მეცნიერული და ინტელექტუალური უმწიფრობისა და კულტურული ფანატიზმის დღევანდელ მდგომარეობას; განავითარებს საკუთარ კონცეფციებსა და მეთოდებს და მოქნილად გამოიყენებს მათ თეორიული მეთოდებისა და მიდგომების ხელახალი ფორმულირებისთვის; მომსწრე გახდება საკუთარი სამეცნიერო რევოლუციისა თეორიებში, მეთოდებსა და აზროვნებაში ახალი დაკვირვებებისა და აღმოჩენების დამსახურებით და შექმნის ახალ სამეცნიერო პერსპექტივასა და ჩამონაცვლებელ იდეოლოგიას, რომელიც მიგვიყვანს ალტერნატიულ კულტურულ მდგომარეობამდე და ახალ კულტურულ ეტაპამდე.

თავი მესამე

**კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების შინაარსში  
არსებული მიკერძობა**

*ჰოდა ჰეგაზი*

საგანმანათლებლო ინსტიტუციები მიიჩნევა კულტურული ტრადიციების გადაცემის უმთავრეს საშუალებად. ასეთმა ინსტიტუციებმა უნდა გააკეთონ არჩევანი უთვალავ მონაცემსა და იდეას შორის და სტუდენტებისთვის განსაზღვრონ ღირებულებათა ის ნყება, რომელიც დიდნილად მიღებულია საზოგადოების მიერ. ეს საკითხი ნამოჭრის მეთოდოლოგიურ პრობლემას: ცოდნის სრული მოცულობიდან უნდა შეირჩეს შესასწავლი საგნების შეზღუდული რაოდენობა, ხოლო შემდეგ უნდა განისაზღვროს სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გასავლელი შესაბამისი თემები. როგორც წესი, კურიკულუმების შედგენა ხდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგია, საგანმანათლებლო ფილოსოფია, ღირებულებათა სისტემა და ადამიანური ბუნების კონცეფცია. კურიკულუმის შედგენა საჭიროებს შერჩევით (ჩართვისა და გამორიცხვის) მიდგომას.

შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოებს ვერ ვუნოდებთ „ნეიტრალურს“ ან „ობიექტურს“, რადგან ისინი ასახავენ სამიზნე საზოგადოებაში დამკვიდრებულ

ღირებულებებსა და რწმენებს. ამდენად, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ის ეპისტემოლოგიური პარადიგმა, რომელიც საფუძვლად ედება კურიკულუმს, როდესაც კურსები მომზადებულია სასწავლებლად. უცხო შეხედულების ან პარადიგმის შეთვისების დროს ჩნდება გარკვეული კითხვები და პრობლემები, ხოლო სხვები გამოირიცხება. მეორე მხრივ, შედარებითი მიდგომის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ მთლიანობა უფრო ექვემდებარება შედარებას, ვიდრე ორი განსხვავებული სისტემა თუ სტრუქტურა.

მაგალითად, მაქს ვებერის ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (**The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism**) ეხება იმას, რასაც ავტორი თვლის რაციონალიზაციის კონკრეტულად დასავლურ ფენომენად. დასავლური კაპიტალიზმი, თუ გავიზიარებთ ვებერის მოსაზრებას, დამახასიათებელია მხოლოდ დასავლური ცივილიზაციისთვის. ვებერისთვის მისაღები იყო დასავლური კაპიტალიზმის გამოყენება მისივე კულტურის შემდგომი კვლევისთვის, თუმცა სხვა კულტურის ბუნების საკვლევად იმავე მიდგომების გამოყენება შეცდომად მიაჩნდა.

დღემდე კვლევები ისლამური ცივილიზაციის სფეროში იყო მონოპოლიზებული კოლონიზატორების ან გულმხურვალე მისიონერების მიერ, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარ კულტურულ თუ რელიგიურ უპირატესობაში და ვერ აცნობიერებდნენ თავიანთ ეპისტემოლოგიურ ტენდენციურობას. ჩვენ მხოლოდ ახლა-



ხანს დავიწყეთ ევროპელი სოციოლოგების ნაშრომების კითხვა, რომლებიც უყურებენ ისლამურ ცივილიზაციას არა როგორც ძველს — ანტიკურს, აღტაცებისა თუ გაკიცხვის ობიექტს, არამედ როგორც ცვლილების უნივერსალური კანონების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ სოციალურ პროცესს. არსებობს საჭიროება ისეთი ზოგადი ენისა და ანალიტიკური კატეგორიებისა, რომლებიც ყველა არსებული სისტემისა და სტრუქტურისგან დამოუკიდებელი, მაგრამ ამავდროულად ყველასათვის გამოსადეგი იქნება. ისლამური ცივილიზაციის შესწავლის მიმართ უფრო ზოგადი და მართებული ტერმინი იქნებოდა არა კაპიტალიზმი, არამედ რაციონალიზაცია.

ამ თემისთვის მიძღვნილი კურსი უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს და წამოჭრას ისეთი კითხვები, როგორიცაა: შეუძლია თუ არა ისლამურ საზოგადოებას, გაითავისოს მეცნიერება და ტექნოლოგია ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი უნიკალური იდენტობა? როგორ შეუძლია ისლამს მასების მობილიზება იმისათვის, რომ აგრარული და დაბალი დონის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საზოგადოებიდან იქცეს ძლიერ და განვითარებულ საზოგადოებად? ამ გზით შიგნიდან დანახული მთელი სტრუქტურა და მისი კანონები გასაგები გახდება ჩვენთვის და აღარ ჩაითვლება შეცდომის შემცველად ან არასწორად. შეფასებისას კრიტერიუმად არ უნდა მივიღოთ დასავლურ ცივილიზაციასთან სიახლოვის ხარისხი. ერთადერთ სტანდარტს უნდა წარმოადგენდეს მსოფლიოში აღმოსავლეთსა და დასავლეთში მცხოვრები ადამიანების წარსული თუ დღევანდელი გამოცდილებების ერთობლიობა.

თავი მეექვსე

## ადამიანის ბუნების შესწავლა, ხელოვნული ინტელექტი და ყურანისეული პერსპექტივა

მაჰმუდ ზაჟადი

არსებული წინააღმდეგობები ხელოვნურ და ადამიანურ ინტელექტთან დაკავშირებით ხასიათდება გადაულახავი უთანახმოებით იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს (HI) გაუტოლდეს ან აღემატოს ადამიანურ ინტელექტს (AI). განსხვავება ადამიანურ და ხელოვნურ ინტელექტს შორის მოკლევადიან თუ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში კვლავაც დარჩება მნიშვნელოვნად, როგორც ეს აჩვენა ადამიანის კულტურულმა სიმბოლოებმა და ადამიანური ინტელექტის ყურანისეულმა ხედვამ. კაცობრიობის კულტურული სიმბოლოებით მანიპულირების უნარი, რომელზეც დამოკიდებულია HI-ის ფენომენი, უნიკალური ადამიანური მახასიათებელია. ეს უნიკალურობა არა ევოლუციის, არამედ ღვთაებრივი გადანყვეტილების პირდაპირი შედეგია. ეს უნიკალურობა მოიცავს ადამიანებისთვის დაფარულ საიდუმლოებებს. მაშინ, როგორ შეძლებენ მკვლევრები მათ ჩართვას ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანების შექმნის პროცესში?

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში კვლევა წინ წავიდა როგორც თეორიულ, ასევე გამოყენებით დონეზე. ხელოვნურ და ადამიანურ ინტელექტს ასევე შეისწავლიან ნეიროფიზი-

ოლოგები და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი მეცნიერები. რადგან ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურა სულ უფრო ფართოვდება მოდერნულ და პოსტმოდერნისტულ საზოგადოებებში, ეს პროცესი სხვა სფეროების სპეციალისტების ჩართვასაც მოითხოვს. ხელოვნური ინტელექტის კვლევები ათავისუფლებს ადამიანებს უამრავი მოსაბეზრებელი დავალებისგან, მაშინ როცა ჩანს, რომ „ინფორმაციულ ხანაში“ შესულ საზოგადოებებს ქმედებების სისწრაფე და ხარისხის ზრდა ახასიათებს.

ადამიანის ინტელექტის საკითხი ხელოვნური ინტელექტის ოპონენტებისა და მხარდამჭერებისთვის ცენტრალურ საკითხად რჩება და მკვლევრებმა უნდა დასვან კითხვა, თუ რატომ არის ადამიანის ინტელექტი აღმატებული ხელოვნურზე და რა აქვს მას ისეთი, რაც არ გააჩნია ხელოვნურს. ამ კითხვებზე პასუხის მოძიება დაგვეხმარება როგორც საკუთარი ბუნებისა და ინტელექტის უკეთ გაგებაში, ასევე უფრო „გონიერი“ მანქანების შექმნაში.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი ადამიანურის შესაბამისი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება გამოყენებული ბიოქიმიური საშუალებები. სხვები ფიქრობენ, რომ საჭიროა მანქანების შექმნა იმგვარად, რომ მათ ადამიანის ტვინის მსგავსად შეეძლოთ ფუნქციონირება. მანქანებისთვის ფიქრის უნარის მინიჭებისა და მოაზროვნე ინტელექტის ფლობის საშუალებად მოიაზრება ციფრული ინფრასტრუქტურა. მეორე მხრივ, ინტუიციას, განწყობასა და ემოციებს ვერ

ექნებათ ადგილი ხელოვნური ინტელექტის სქემაში, რაც ხელს შეუშლის რაციონალურად მოაზროვნე მანქანას იფიქროს ისე, როგორც ამას ადამიანი აკეთებს.

ადამიანებს სხვა არსებებისგან და ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანებისგან გამოჰყოფს კულტურის ფენომენი. კულტურის სფეროს მეცნიერებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ კაცობრიობის მიერ სიმბოლოების გამოყენება ადამიანის კულტურის ყველაზე საოცარი მახასიათებელია. ბიჰევიორისტული სოციალური მეცნიერების თეორიები და პარადიგმები უნდა ითვალისწინებდნენ, რომ ადამიანი ბუნებით არის კულტურულ-სიმბოლოური არსება და მისი უნარი, გამოიყენოს კულტურული სიმბოლოები, რადიკალურად ასხვავებს მას ყველა სხვა არსებისგან და ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანისგან. ადამიანური ინტელექტის სრულად შესაცნობად აუცილებელია ადამიანური კულტურული სიმბოლოების შესწავლა.

ფიქრებისა და იდეების გენერირების პროცესში უმთავრესია კულტურული სიმბოლოებით მანიპულირების უნარი, რომ მოხდეს კოგნიციისა და სემანტიკის პროცესების შესახებ სანდო ცოდნის მოპოვება. სწორედ კულტურული სიმბოლოების შესახებ ცოდნაში არსებულ ხარვეზებთანაა დაკავშირებული ადამიანური და ხელოვნური ინტელექტის შესახებ ცოდნის არასრულყოფილება. ამ სფეროში მყარი საფუძვლის შექმნა უკიდურესად მნიშვნელოვანია მკვლევრებისთვის, რათა მათ შეძლონ მანქანების სწავლის მიმართ პრობლემების ახსნა. ინტერესის ამგვარი ნაკლებობა [კულტურული სიმბოლოების

მიმართ] არის მთავარი სისუსტე, რომელიც ხელს უშლის მკვლევრებს, ჩანვდნენ ადამიანური ინტელექტის განუმეორებლობას.

თანამედროვე ფსიქოლოგიურმა და სოციოლოგიურმა კვლევებმა ხაზი გაუსვა ადამიანურ ინტელექტზე სოციალური იზოლაციის უარყოფით გავლენას, რაც ნიშნავს, რომ ინტელექტი ძლიერადაა დამოკიდებული კულტურულ სიმბოლოებზე, რომლებითაც გამსჭვალულია ადამიანების სოციალიზაციის პროცესი. კოგნიტური მეცნიერების თანამედროვე კვლევებში კულტურის, გონებისა და ადამიანური იდეების სფეროში გამოიკვეთა ორი შეხედულება: განმანათლებლობის ეპოქის რაციონალურ-მეცნიერული თვალსაზრისი და რომანტიკული ამბოხის თვალსაზრისი. ეს შეხედულებები განსაკუთრებით რელევანტურია ხელოვნური ინტელექტის თემაზე გამართულ პოლემიკასთან მიმართებაში. მეორე შეხედულების მომხრეები თვლიან, რომ არ არის საკმარისი კულტურის, გონებისა და ინტელექტის გაზომვა მხოლოდ ემპირიულ-პოზიტივისტური საზომით, არგუმენტირებული მსჯელობით, ლოგიკითა და რაციონალიზმით.

ადამიანურ ინტელექტთან შედარებით ხელოვნურის უფრო ქვემოთ დგომა გამოწვეულია მისი ვიწრო ლოგიკურ-რაციონალურ-ლოგარითმული სტრუქტურული დიზაინით, რომელიც არ იღებს მხედველობაში რომანტიკოსების მიერ წამოჭრილ საკითხებს. შესაბამისად, რამდენად სანდოა ემპირიულ-პოზიტივისტური პარადიგმა, როდესაც მისი უმთავრესი ელემენტებისგან ორს შეადგენს ლოგიკა და რაციონალობა? ადამიანები არიან

უფრო მეტი, ვიდრე ლოგიკურად და რაციონალურად მოაზროვნეები - ადამიანის ინტელექტის აღმატებულობა მოდის არამატერიალური და სუბიექტური ნიშან-თვისებებიდან. ადამიანის ინტელექტი კომპლექსური ფენომენია, ასე რომ, ადამიანური/ხელოვნური ინტელექტის კვლევა არ უნდა მიჰყვებოდეს მკაცრ და ვიწრო ფორმულას.

გამოცხადების ტექსტებში პრაქტიკულად არაფერი მოიძიება ადამიანური ინტელექტის შესახებ „რენესანსის“ დასავლური გამოცდილების წყალობით, რომელმაც გვერდი აუარა მუსლიმურ სამყაროს; ასევე რელიგიასა და მეცნიერებას შორის, როგორ წესი, მტრული ურთიერთობის გამო. მუსლიმი მკვლევარი ლოგიკურად უნდა მიმართავდეს ყურანს ადამიანური/ხელოვნური ინტელექტის თემაზე კონსულტაციისთვის, რათა შემდგომ შეისწავლოს ადამიანის ინტელექტის ტრანსცენდენტული ბუნება, ასევე აზროვნება, ადამიანის ინტელექტი და შესაქმნისის აქტი.

რელიგიური და სეკულარული დოქტრინები თანხმდებიან, რომ მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ აგონ პასუხი თავიანთი ქმედებებისთვის - ინტელექტი აკისრებს ადამიანს პასუხისმგებლობას და ასევე ანიჭებს ნების თავისუფლებას სამოქმედოდ. ყურანის პოზიცია ახლო მოკავშირეა იმ თანამედროვე მეცნიერებებისა და სწავლულებისა, რომლებსაც არ სწამთ იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი შეიძლება ავიყვანოთ ადამიანური ინტელექტის ტოლფას ან მასზე აღმატებულ დონეზე. მაშინ, როდესაც ყურანისეულ პერსპექტივას შეუძლია გამოგვი-

წოდოს დახმარების ხელი, ემპირიულ-პოზიტივისტური მიდგომა ვერ იქნება სასარგებლო, რადგან ის უარყოფს ინტელექტის ტრანსცენდენტულ ბუნებას.

თავი მეშვიდე

### ტენდენციურობის პირისპირ “მესამე სამყაროში”

*ფერიალ ჯ. ლაზული*

ინტელექტუალურ სფეროებსა და მეთოდოლოგიებში არსებული მიკერძობული დამოკიდებულება „მესამე სამყაროსადმი“ საყოველთაოდ ცნობილია. მეორე მხრივ, ლიტერატურას შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ამგვარ ტენდენციურობასა და ცრურწმენებს, იყოს ინიციატორი თეორიული განცხადებებისა, რომლებითაც ბრძოლა გაჩაღდება ამგვარ დამლუპველ ფენომენტთან. ლიტერატურა დამოკიდებულია სტილისტურ ტექნიკასა და მხატვრულ სტრატეგიებზე. მათგან არცერთი არ არის ერთმანეთზე უპირატესი, მათი მიზანია ვერბალური და კონცეპტუალური გადმოცემის სიზუსტე. დაჩაგრული და მარგინალური უფრო შემოქმედებითად და პროდუქტიულად გამოიყურება მხატვრულ დონეზე, ვიდრე მჩაგვრელი და ძლევამოსილი.

ღრმად ფესვგადგმულ ტენდენციურობასთან შემოქმედებითი წინააღმდეგობა სხვადასხვა სახეს იღებს. ამ თავში შევეხებით აფრიკის კონტინენტის სამ მწე-

რალს: ნიგერიელ ჩინუა აჩებეს, ავტორს რომანისა „ყველაფერი ინგრევა“ (Things Fall Apart), სუდანელ თაიებ სალიჰს, „ჩრდილოეთით მიგრაციის სეზონის“ (Season of Migration to the North) ავტორს და მაროკოელ თაჰარ ბენ ჯელონს, ავტორს წიგნისა „მე ვარ არაბი, მე ვარ ეჭვმიტანილი“ (I Am an Arab, I Am Suspect).

აჩებეს წიგნი „მესამე სამყაროს“ წარმომადგენელი ერთი ამაყი კაცის ისტორიაა. მასში ნაჩვენებია მთავარი გმირის - ობის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ოკონკვოს ტრაგედია, რომელიც კოლონიზატორი დამპყრობლის შემოსევამდე და უცხო ღირებულებების თავს მოხვევამდე სიცოცხლეს თვითმკვლევლობით ასრულებს. რომანი დამაჯერებელია იმიტომ, რომ ის არ იბრალებს აფრიკელ გმირს ევროპელ ბოროტმოქმედებთან ანუ სიკეთის ბოროტებასთან ბრძოლაში. ამის ნაცვლად, ის დაპყრობის პროცესს ნაბიჯ-ნაბიჯ აანალიზებს იმ პერიოდში, როდესაც შეუძლებელი ხდება ძველი ღირებულებების შენარჩუნება. აჩებე იყენებს შესაბამის სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რათა შემოქმედებითად შეენინაალმდეგოს იმპერიულ კულტურას.

აჩებე ადარებს ერთმანეთს აფრიკულ და ევროპულ იდეოლოგიებს და ამხელს ორივეს. ის წარმოაჩენს ორ რელიგიას, დოგმებში განსხვავებულობის მიუხედავად, პრაქტიკულად ერთი და იმავე არსის ორ გამოვლინებად. ეს შედარებითი მიდგომა ხელს გვიწყობს, არ მოვახდინოთ რელიგიის იერარქიული კლასიფიკაცია ან უარვყოთ რომელიმე რელიგიისთვის დამახასიათებელი რწმენათა



სისტემა. ავტორის ტექნიკა იზიდავს უცხოელ მკითხველს და მიჰყავს ის შემდგომ საკუთარ კულტურასთან დაკავშირებულ კითხვებამდე. კულტურული მიკერძობისადმი წინააღმდეგობა წარმოჩენილია აჩებეს ნაშრომში მის მიერ ტენდენციურობის აღმომჩენი მეტაფორული ენის გამოყენების მეშვეობით.

სალიჰის რომანი, „ჩრდილოეთით მიგრაციის სეზონი“, ნასაზრდოებია კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის მიუღებლობით. რომანი ეწინააღმდეგება აფრიკელებთან დაკავშირებულ ჩრდილოურ ცრურწმენებსა და არასწორ განმარტებებს კარიკატურებისა და მხატვრული შეპირისპირების გამოყენებით. სალიჰმა დაწერა თავისი რომანი არაბულ ენაზე შექსპირისეული ოტელოს, ვენეციელი მავრის, ტრაგედიის საპასუხოდ. ოტელოს ტრაგედია იყო პირველი დრამატული ნამუშევარი, რომელიც ითარგმნა და არაბული სამყაროს სცენაზე დაიდგა. სალიჰს სურდა ევროპაში აფრიკელის შექსპირისეულ იმიჯთან დაპირისპირება და მისი შესწორება ოტელოს სახის არაბულ და ისლამურ სამყაროში დეკონსტრუქციის გზით.

სალიჰის სიტყვებით, ოტელოს გააფთრება შეიძლება გასაგები გახდეს, თუ ჩავწვდებით, რომ მისთვის ვენეციელები ყოველთვის მიუღებელი იყვნენ, ისე როგორც მათთვის ოტელო. „ეს ეროვნული განრისხებაა, კულტურათა შეჯახებაა“. სუდანელი მთავარი გმირი, რომელიც ჩადის ინგლისში სასწავლებლად, გამოხატავს ავტორის ხედვას დასავლეთის მხრიდან მის სამყაროზე ძალადობასა და ტენდენციურობასთან დაკავშირებით.

სალიჰი ჰიპერბოლებისა და სატირის რთულ სტრატეგიას იყენებს იმისათვის, რომ დაარღვიოს აფრიკის არსებული სტერეოტიპი. მუსტაფა სა'იდი მას გამოჰყავს ყალბ გმირად, მჩაგვრელისა და ჩაგრულის, ბატონისა და ყმის კულტურული გაერთიანების პროდუქტად. ამის შედეგია ერთგვარი ჰიბრიდი, რომელიც არ ეკუთვნის არც საკუთარ სამშობლოს და არც უცხო ქვეყანას და მის კულტურას.

ბენ ჯელუნი ამაღლეზელ მოთხრობაში, „*მე ვარ არაბი, მე ვარ ეჭვმიტანილი*“, იყენებს სტრუქტურულ ირონიას, რომლის მეშვეობითაც მკითხველმა იცის უფრო მეტი, ვიდრე მთავარმა გმირმა. ნარატივის სტრუქტურა დაქვემდებარებული გმირის უბრალოებას უპირისპირებს საზოგადოების სიმდაბლესა და სამყაროს არასწორ მონყობას. არაბი დამნაშავედ რჩება მანამ, სანამ არ დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას დასავლურ სამყაროში, რომელიც ტენდენციურად არის განწყობილი მის მიმართ და მუდამ ეპყრობა მას, როგორც ეჭვმიტანილს. მას უკვირს, თუ რატომ აღიქვამენ მას ფუნდამენტალისტად, უჩვენებს ამით მკითხველს, რომ „*სხვისი*“ შეფასება ყოველთვის არ ეფუძნება „*სხვის*“ საქციელს, არამედ განპირობებულია წინასწარშექმნილი ბრალდებებითა და წინასწარ გამზადებულ განაჩენებით. უდანაშაულო მუშა სვამს კითხვას, თუ რატომ არის ის მუდამ ეჭვმიტანილი და მკითხველი იძულებულია, დაგმოს არსებული წყობა თავისი ყველა სახის ცრურწმენებით. ბენ ჯელუნს არ გამოაქვს დასკვნები და არც ჭკუას გავსწავლის, თუმცა ის ადარებს ქცევის ორ ტიპს და მკით-

ხველს აძლევს უფლებას, თავად განსაჯოს. იგი ამყარებს თავის თხრობას დრამატული ირონიის ტექნიკაზე.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეიტანეს აფრიკელმა მწერლებმა თავიანთი წვლილი მიკერძოებასთან ბრძოლაში მისი დაგმობისა და მხატვრულად წარმოჩენის გზით, რადგანაც ქმნიდნენ წინააღმდეგობის განწვევის უხილავ ტექნიკებს. ეს ტექნიკები მოიცავს განსხვავებულობის შედარებას, გაბატონებული აზრის გადაფასებას, კარგად ცნობილისთვის სხვა კუთხით შეხედვას. შედეგად ვიღებთ ვერტიკალური იერარქიის უარყოფას და დომინანტური დისკურსის ცენტრის გადანაცვლებას. ამ გზით შემოქმედი მწერალი წარმოაჩენს ტენდენციურობის ყოვლისმომცველ ხედვას ცრურწმენის საფუძვლის დეკონსტრუირებით.

თავი მერვე

### **მეთოდოლოგიის მიღმა: მიკერძოების ფორმები დასავლურ ლიტერატურულ კრიტიკაში**

*საად აბდულრაჰმან ალ-ბაზი'ი*

დასავლეთში ლიტერატურული კრიტიკის მეთოდები მიკერძოებულია იმ კულტურული კონტექსტის ინტერესების სასარგებლოდ, რომლებმაც ისინი წარმოშვა.

თუ არადასავლელი კრიტიკოსი, მაგალითად არაბულ-ისლამური კულტურის წარმომადგენელი, საკუთარი კულტურის ფარგლებში შექმნილ ლიტერატურაში გამოიყენებს ზემოხსენებულ მეთოდებს, ის ორი არჩევნის წინაშე დადგება: გამოიყენოს ეს მეთოდები ისეთებად, როგორც არის და ძალაუნებურად გაითავისოს ის ჩანაფიქრები და იდეოლოგიები, რომლებმაც ეს მეთოდები წარმოშვეს, რაც გაუგებარს გახდის ლიტერატურულ მასალას; ან რადიკალურად შეცვალოს მეთოდი და მიიღოს სანყისისგან სრულიად განსხვავებული მეთოდი. იმის მტკიცება, რომ მეთოდოლოგიას შეიძლება გამოაცალო მისი კონტექსტი უმნიშვნელო, ან სულაც ყოველგვარი ცვლილების გარეშე, უსაფუძვლოა, როგორც ეს აჩვენა ასეთი მეთოდოლოგიის კულტურული და ფილოსოფიური კონტექსტის ისტორიულმა ანალიზმა.

არ შეიძლება დასავლური ტენდენციურობის საკითხს გამარტივებულად მივუდგეთ - აუცილებელია მისი ხელახალი გაანალიზება და არგუმენტების გადამოწმება. ზოგიერთ კრიტიკოსსა და სწავლულს არ სჯერა ამა თუ იმ მეთოდის ტენდენციურობისა და მათ ნეიტრალურ ინსტრუმენტებად მიიჩნევს. თანამედროვე არაბი კრიტიკოსები ნეიტრალურ კრიტიკულ ინსტრუმენტად იყენებენ სტრუქტურალისტურ მეთოდს - მათ სჯერათ ამ მეთოდის შედეგიანობისა არაბული მეცნიერების პროგრესის საქმეში, კულტურულ კონტექსტში ბარიერების გადალახვაში, ეროვნული მემკვიდრეობის აღორძინებასა და პროგრესისთვის ფეხის ანყობაში. არაბული აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში

კარგად ცნობილ ამ მოსაზრებას თითქმის ისეთივე ძლიერი ისტორიული და იდეოლოგიური ფესვები აქვს, როგორც მის საწინააღმდეგო მოსაზრებას. მისი პრეტენზია უნივერსალურობაზე კი ეხმიანება ევოლუციას დასავლეთის კულტურული სტანდარტების მიხედვით.

გადაუჭრელი რჩება დამახინჯების პრობლემა მხატვრული ლიტერატურაში და მთლიანად კულტურული სტრუქტურაში. მეთოდოლოგიასთან გაცნობა კულტურული თვითმყოფადობის ტენდენციურობას საწყისშივე ააშკარავებს მანამ, ვიდრე ის რეალურად გამომჟღავნდება. თუმცა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ მეთოდის ტენდენციურობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მეთოდები მთლიანობაში არარელევანტურია. ეს არ გამორიცხავს ორმხრივი სარგებლის შესაძლებლობას ან საერთო მახასიათებლებს. მეთოდის ტენდენციურობა ნიშნავს კულტურაში ერთგვაროვნების მაღალ ხარისხსა და სხვა კულტურაში რომელიმე ელემენტის იმავე მიზნით ან მნიშვნელობით გამოყენების სირთულეს. აქ განხილული დასავლური კრიტიკის შედეგი არ ეხება არაბულ-ისლამურ კულტურასთან შერწყმულ ელემენტებს. უამრავმა დასავლელმა მოაზროვნემ გამოხატა სურვილი, დაეძლია დასავლური ეგოცენტრიზმი.

ფილოსოფოსმა იბნ სინამ (ავიცენა) წარმოადგინა მეთოდოლოგიის პრობლემა ლოგიკის სფეროს ფარგლებში, აცხადებდა რა, რომ ლოგიკის მეცნიერება მიჰყვება ყოვლისმომცველ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. ამ მსოფლმხედველობაში განსხვავება ეფუძნება მეთოდოლოგიური თუ ლოგიკური საფუძვლების გან-

სხვაგვებულობას და ის ხშირად მიმართავს არისტოტელესულ (ბერძნულ) ფილოსოფიას. თუ ფილოსოფია შეიცვლება, იმავდროულად უნდა შეიცვალოს კვლევის ის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ეპისტემოლოგიური დედუქცია, რომელზეც ეს ფილოსოფია არის დაფუძნებული. ფილოსოფოსი იბნ რუშდი მხარს უჭერდა ისლამურ ცივილიზაციაში ბერძნულ აზროვნებას, თუმცა არისტოტელეს პოეტიკის შეზღუდული გამოყენების სფეროს მისეული შეფასება მკაფიოდ გამოხატავს ზოგად მგრძნობელობას კულტურული განსხვავებულობით გამოწვეული პოტენციური მიკერძოების მიმართ.

სხვანი, კონსერვატულად განწყობილნი ძველ მუსლიმ ინტელექტუალებს შორის ეწინააღმდეგებოდნენ კულტურული „ღია კარის“ პოლიტიკას. ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ დიუის აზრით, ლოგიკა ბუნებრივად მიკერძოებულია რომელიმე ფილოსოფიური პრინციპის სასარგებლოდ. იმის თქმა, რომ მეთოდოლოგია უნდა გამოეყოს მის ეპისტემოლოგიურ მიზანს, იგივეა, რომ მოუწოდოთ ფორმისა და შინაარსის განცალკევებისკენ. ანალოგიურად, საერთო საკაცობრიო მიზნები არ გამოირიცხავენ მათ მისაღწევად მიმართული საშუალებების მრავალფეროვნებას. ნორთროპ ფრაის თვალსაზრისით, კრიტიკის მეთოდებსა და მიზნებს შორის ჰარმონიის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრიტიკული პრინციპები და ჰიპოთეზები მომდინარეობენ კრიტიკაში განხილული ხელოვნებიდან, რადგან მხატვრული ნაშრომი წარმოადგენს საერთო სიმბოლოებზე, ტრადიციებზე, ან მოდელებზე დაფუძნებულ ორ-

განულ ერთობას. ფრაის მეთოდოლოგია განსხვავდება სხვა ფორმალისტური ტენდენციებისგან იმ თვალსაზრისით, რომ ის ცდილობს, იყოს ყოველისმომცველი მხატვრულ ნაშრომებში არსებული სიმბოლური ან ტიპოლოგიური კავშირების შესწავლისას.

თანამედროვე დასავლური კულტურა მიდრეკილია სეკულარიზმისკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს დასავლური აზროვნებიდან ან კულტურიდან რელიგიის გამოდევნას. მე-18 საუკუნის შუა ხანებში განმანათლებლობის ეპოქამ, რომელიც ზოგადად ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ ორთოდოქსალურობას, გამოიწვია რელიგიური კრიტიკული მოძრაობის აღმოცენება, რომელიც მიმართული იყო რელიგიის დაცვისკენ ბიბლიის ახალი განმარტების გზით - ეს განმარტება ხაზს უსვამდა ბიბლიის მხატვრულ და მითოლოგიურ ბუნებას, როგორც აღმოსავლური პოეზიისა. ამ მოვლენების თანხმლები იყო რომანტიზმის აღზევება და მან ხელი შეუწყო ახალი სასულიერო/სეკულარული კრიტიციზმის კომბინირებას, რომელმაც გაუტოლა დასავლურ ლიტერატურულ კრიტიკაში რელიგიური ტექსტები ადამიანურ, საერო ტექსტებს. ფრაი ხაზს უსვამს ბიბლიის მითოლოგიურ ბუნებას, თუმცა მხარს უჭერს მისი არქეტიპის მეტაფიზიკურ კონცეფციას. ორმაგი სტანდარტი - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული დილემაა, რომელიც მოიცავს სეკულარულს, მაგრამ ვერ გაურბის საკუთარ რელიგიურ და მეტაფიზიკურ ფესვებს, მიუხედავად ნიცშეს, ფროიდისა და ჰაიდეგერის ნაშრომებში მეტაფიზიკურის დაძლევის საუკუნოვანი მცდელობებისა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დასავლურ კრიტიკულ მეთოდებს გააჩნიათ უნივერსალურობის მნიშვნელოვანი ხარისხი. თუმცა, ამავდროულად ისინი ატარებენ კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რომელთა გადატანა სხვა კულტურაში შეუძლებელია. ამ უკანასკნელის გამო, იმ ადამიანებმა, რომლებიც არ იზიარებენ დასავლურ კულტურულ კონტექსტს, სრულად უნდა გადახედონ ასეთ მეთოდებს მათ გამოყენებამდე.

### თავი მეცხრე

#### **ისლამური საზოგადოებების არქიტექტურაში დიზაინის თეორიები და პრინციპები: ცერემონიალური მიდგომა საზოგადოებრივი ნაგებობისადმი**

*აბდელჰალიმ ი. აბდელჰალიმი*

სრულყოფილებისა და სილამაზის ღირებულებები აუცილებელია ისლამური და განვითარებადი მსოფლიოს ბევრ თემში გაბატონებული განუვითარებლობის, გაუცხოებისა და აპათიის დასაძლევად. განუვითარებლობა მდგომარეობს წარმოების საშუალებების (განსაკუთრებით ხელოვნურად შექმნილ გარემოში) გამოყოფაში იმისგან, რაც რელევანტურია კონკრეტულ კულტურისათვის. ამ გამოყოფის მიუხედავად, არსებობს კულტურული მექანიზმები, რომლებიც აკავშირებენ შენობების



აგებას თემის კულტურასთან. ეს არის ადამიანების შემოქმედებითი ენერგია და თემის რესურსები და უნარები. ამასთანავე, დღესდღეობით ბევრ თემში სამშენებლო პროცესები ფორმალური ინსტიტუციების - კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის მიერ იმართებიან. თემის აღდგენითი პროცესისთვის საჭიროა საზღვრების დადგენა, ცენტრების ჩამოყალიბება და მშენებლობის დაკავშირება თემთან. თუ თემის აღდგენითი პროცესი მიმართულია სამშენებლო პროცესებზე, მაშინ შენობების აგებას შეუძლია წვლილის შეტანა ადამიანების სიცოცხლისუნარიანობასა და თემის შემოქმედებით განვითარებაში.

მშენებლობის პროცესსა და თემის ცხოვრებას შორის არსებობს ურთიერთკავშირი. ამგვარად, მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში აღდგენის შემთხვევები დღემდე შენების რაციონალური პროცესის თანმდევად განიხილებოდა. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს თემში, რომლის ორგანიზების ერთადერთი საშუალება წეს-ჩვეულებები და ტრადიციებია. ნებისმიერი სახის განვითარებისკენ სწრაფვა უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ შესაძლებლობებსა და რესურსებს. თემისა და კულტურისგან დამოუკიდებლად, მშენებლობის წესი არის მექანიზმი, რომელიც აკავშირებს შენების პროცესს თემთან. მშენებლობა ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა ადამიანებსა და მათ შემოქმედებით ინსტიტუტებს, რომლებიც ქმნიდნენ შენობებსა და არტეფაქტებს. როგორც საბაზისო აღდგენითი პროცესი, ის გადმოსცემს სხვადასხვა საზოგადოების რიტუალებსა და ცერემონიებს და იმ სასიცოცხლო პროცესს, რომელიც

აძლიერებს და აყალიბებს ინდივიდუალურ იდენტობას, მიუხედავად ზოგიერთი მტკიცებისა, რომ მშენებლობა უნდა გამოეყოს ფორმალურ წესს. წარმოებისა და კულტურის ყველაზე მისაღები ინტეგრაცია დიდწილად უნდა შენარჩუნდეს სიმბოლურ დონეზე.

კულტურისა და წარმოების ინტეგრაცია მნიშვნელოვანიც არის და შესაძლებელიც. შენებას შეუძლია გააერთიანოს ეკონომიკური ზრდა შემოქმედებითობასთან და დაუმატოს ის კაპიტალისა და ცოდნის დაგროვებას. უშუალოდ თემის გულში განხორციელებულ მნიშვნელოვან აღმშენებლობით პროექტს შეუძლია აღადგინოს მისი შემოქმედებითი პოტენციალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხდება ადგილობრივ გარემოზე საუკეთესოდ მორგებული ადგილობრივი ხელოსნებისა და სამშენებლო მასალების გამოყენება. ის ხელს უწყობს ქვის ხელოსნის უნარებისა და მისი გეომეტრიის შესახებ ცოდნის გაერთიანებას ტექნიკოსის უნართან, იმუშაოს განერილი ინსტრუქციებისა და ნახაზების მიხედვით - ეს კომბინაცია კი ინოვაციის საწინდარია.

თავი მათი

## ფიქრები ტექნოლოგიისა და განვითარების შესახებ: კულტურული პერსპექტივა

ჰამედ იბრაჰიმ ელ-მუსლი

მიკერძობის პრობლემა დგას ჩვენი კულტურული და სამეცნიერო ინტერესების ცენტრში. მოდერნიზაციასთან, განვითარებასა და ტექნოლოგიასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი თანაბარნილად გამოიყენება როგორც დასავლური, ასევე მუსლიმი მთავრობებისა და მსოფლიო ინსტიტუციების მიერ. შეუძლებელია ამ ტერმინების გამოყენება სხვადასხვა პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტებში მათი მნიშვნელობის ცვლილების გარეშე. დასავლურ კონცეფციებზე დაფუძნებული განვითარების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა არაბულ და მუსლიმ, ასევე „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში. ამ ტერმინების გამოყენების დაჟინება მეტყველებს რელიგიის ჩანაცვლებისა და მუსლიმების იძულების სურვილზე, ირწმუნონ მოდერნიზაცია და დასავლური ტექნოლოგიები. დასავლურმა ცვლილებების ქარმა სხვადასხვა ხარისხით იმოქმედა მუსლიმების კულტურული, სამეცნიერო და პროფესიული ჩამოყალიბების პროცესებზე. უპირველეს ყოვლისა, მუსლიმები, პირველ რიგში, თავად უნდა შეიცვალონ, რათა შეძლონ მათ ირგვლივ სამყაროს შეცვლა. მათ უნდა გადააფასონ ყოველი აქსიომა,

კრიტიკიუმი და ღირებულება, რომელიც წარმართავს მათ კულტურულ, სამეცნიერო და პრაქტიკულ აქტივობებს და რომელიც დაექვემდებარა დასავლურ კულტურულ ტენდენციურობას.

ტენდენციურობის პრობლემა მჭიდრო კავშირშია კულტურული დამოუკიდებლობის გადაუდებელ აუცილებლობას. რაც დრო გადის, მუსლიმები სულ უფრო ექვემდებარებიან დასავლეთს და საკუთარ დამოუკიდებელ კულტურულ ნამოწყებებში სულ უფრო შემზღვეველ ტერმინებსა და პირობებს აწყდებიან. როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე ჯგუფისთვის რთულია საკუთარი ორიგინალური კულტურული სქემისგან სრულად გამოყოფა და უცხოურის შეთვისება. კულტურული ცვლილების პროცესი მოითხოვს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დიდი რაოდენობის უცხოური კულტურული ელემენტებით ოპერირებას. კულტურული ექსპანსიის დროს, დომინანტი კულტურა ცდილობს, დაიქვემდებაროს სხვა კულტურა და წაართვას მას დამოუკიდებლობა. ეს პროცესი ხელს ანადგურებს ინტეგრაციას და ქმნის ნაპრალებს დაპყრობილ კულტურაში, ხელყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შემოქმედებით პოტენციალს და ზრდის დომინანტი კულტურისადმი დაქვემდებარებას.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებისთვის ექსპორტირებულზე/გადაცემულზე საუბრის დროს სწორად უნდა გამოვიყენოთ ტერმინები „ტექნიკა“ და „ტექნოლოგია“: „ტექნიკა“ უკავშირდება წარმოების აქტივობას, ხოლო „ტექნოლოგია“ იქმნება გონებასა და

ფიზიკურ რეალობაში უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე წარმოებაა. ჩვენთვის, ზოგიერთი პროექტის მზა სახით მოწოდების მსგავსად, ხდება პოლიტიკური და სოციალური მოხმარებისთვის შეფუთული ზოგი კონცეფციის მოწოდებაც. „ტექნოლოგიის გადაცემა“ გულისხმობს ორ მხარეს შორის ცალმხრივ ტრანსფერს, ამასთან ტექნოლოგია არის „ობიექტი“, რომლის გადაცემა შესაძლებელია ერთი სოციო-კულტურული კონტექსტიდან მეორეში, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ბევრი ექსპერიმენტი ადასტურებს, რომ ტექნოლოგია არ ექვემდებარება გადაცემას. შესაძლებელია მხოლოდ ტექნოლოგიური უნარის ცალკეული ელემენტების გადაცემა ცოდნის მოპოვებისა და ოპერირების ეტაპებზე. საკუთარი ტექნოლოგიური უნარების შექმნაზე მიმართული უზარმაზარი ძალისხმევის გარეშე, არაბულ-ისლამური სამყარო ვერასოდეს შეძლებს ადაპტაციისა და ინოვაციის ეტაპებამდე მიღწევას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური დამოუკიდებლობისთვის.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნებში გაბატონებული მიდგომაა ინდუსტრიული დასავლური ქვეყნებიდან ან იაპონიიდან გადმოტანილ ტექნიკებზე დაყრდნობით განვითარების გეგმების შემუშავება და განხორციელება. ამას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა სოციალურ და კულტურულ სფეროებზე და „ნიჰილისტურ“ დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რომელიც მიმართულია დასავლეთის სოციალური მიზნების მიღწევაზე ინდუსტრიული ორგანიზაციის იმიტაციის გზით. ამ დილემაში შეიძლება უფრო დადებითი მიმართულებაც გამოვყოთ, თუ დავსვამთ

კითხვას: როგორ შეგვიძლია შევითვისოთ ტექნოლოგია, როგორც ჩვენი კულტურული სტრუქტურის პოტენციალი და მახასიათებელი? არაბული/მუსლიმური საზოგადოების მიერ განვითარების დასავლური მოდელის შეთვისებამ საზოგადოებაში შექმნა დაუბალანსებელი ურთიერთობები გაცვლის თვალსაზრისით, რამაც მისი წევრები აქცია დასავლური საქონლის, ტექნიკებისა და სერვისების მომხმარებლებად.

ცვლილება არ განხორციელებულა ადამიანების ინდივიდუალური განვითარების, ცოდნისა და მონაწილეობის მეშვეობით. ღირებულებების შექმნა და აღდგენა კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. დასავლური მოდელი ართმევს სხვა კულტურებს ამ ფუნქციას, რასაც კულტურული იდენტობის დაკარგვისკენ მივყავართ. მოდერნიზაცია შედგება თვით-რეალიზაციისგან, რომელიც ინვესტს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ამოცანების შესასრულებლად საჭირო კულტურულ და სოციალურ ცვლილებებს. არაბული/მუსლიმური სამყარო საჭიროებს კულტურულ რევოლუციას განათლებაში, რომელშიც დღევანდელი მეთოდები გაუცხოებას ინვესტს. არაბულ/მუსლიმურ სამყაროში ამქვეყნად სამოთხის შექმნის და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის ოცნება არასოდეს ყოფილა მთავარი, რადგან კულტურა არასოდეს სვამდა ადამიანს სამყაროს ცენტრში და არც ამქვეყნიურ ცხოვრებას გამოყოფდა მარადიული ცხოვრებისგან.

**თავი მეთერთმეტი**  
**ფილოსოფიური რწმენები, როგორც ფიზიკური კანონების**  
**ჩამოყალიბების საფუძველი**

მაჭჯუბ ტაჭა

პოპულარული აზრია, რომ ფიზიკა საკუთარ კანონებს და თეორიებს აღიქვამს, როგორც უნიკალურ პროდუქტს, რომლის თანახმადაც არ შეიძლება განსხვავება არსებობდეს ორ პიროვნებას შორის. ეს შეხედულება ეყრდნობა დაშვებას, რომ ყველა სამეცნიერო დავა შეიძლება გადანყდეს ლაბორატორიაში და სამეცნიერო ექსპერიმენტი უკანასკნელი ინსტანციის მსაჯულია. თუმცა, ეს ეხება მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და დაკვირვებები აქ მხოლოდ ათვლის წერტილს წარმოადგენენ. ადამიანის მიერ თეორეტიზაცია არსებითი მნიშვნელობისაა და წარმოადგენს სამეცნიერო შრომის ჭეშმარიტ სულს. მეცნიერება იქმნება მაშინ, როდესაც ადამიანის გონება შეიმეცნებს ფაქტებსა და შეხედულებებს ყოველი კუთხიდან. ემპირიული მეთოდები ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში და მათი წინსვლა გამოწვეული იყო არა მხოლოდ ტექნოლოგიური გარღვევებით, არამედ მეცნიერული აზროვნების თეორეტიზაციისა და მეთოდების დამსახურებით. სწორედ ამ წინსვლამ შეგვამძლვინა ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელმაც მიგვიყვანა ექსპერიმენტული დაკვირვებების შედეგად ზოგადი კანონების ფორმულირებამდე.

ჩანს, რომ არსებობს აბსტრაგირების სამი განსხვავებული დონე: შენახვის კანონის დონე, რომელიც უშუალოდ დაკვირვებიდან და გაზომვიდან დადგინდა; პოსტულატი, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ ცნობილი შენახვის კანონი ვალიდურია და ყოვლისმომცველი თეორიის დონე, რომელიც გვაძლევს უნიფიცირებულ მათემატიკურ ფორმულას ფუნდამენტური ურთიერთქმედებების შესასწავლად. ადამიანის აზროვნება ექსპერიმენტით დადგენილი ფაქტების განზოგადების პროცესში უმთავრესი ფაქტორია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ეფუძნება იმ მნიშვნელოვან დაშვებას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ რაციონალურ სამყაროში, სადაც ბუნებრივი მოვლენები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედება სამეცნიერო მეთოდის მნიშვნელოვან შემადგენლად რჩება, თუმცა დეტერმინიზმის პოსტულატში ცვლილებები იმგვარად იყო წარმოსახული, რომ ექსპერიმენტების შედეგების თანხვედრი ყოფილიყო. ბუნებრივ სამყაროზე შეხედულება გულისხმობს ფილოსოფიური პოზიციის გათავისებას, თუმცა ამგვარი პოზიციის დაცვა სრულად დამაჯერებელი ლოგიკის გამოყენებით შეუძლებელია. ზოგჯერ სამეცნიერო თეორია უარყოფილია ფილოსოფიური თვალსაზრისით, მიუხედავად მისი შესაბამისობისა ექსპერიმენტის შედეგებთან. ფუნდამენტური ურთიერთქმედების დონეზე სამეცნიერო კვლევა ყოველთვის იქნება ასოცირებული ფილოსოფიურ დაშვებებთან, რომლებიც არ მომდინარეობენ ექსპერიმენტიდან. ეს ასოციაცია მნიშვნელოვანია, რადგან ის



საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში კვლევას ანიჭებს ინტელექტუალურ და კულტურულ განზომილებას. მას შეეძლო წვლილის შეტანა ტექნოლოგიის გამოყენებისა და ადამიანის აზროვნებაში. ბევრი ძირითადი სამეცნიერო კანონის ფორმულირება ფართო განზოგადებას ექვემდებარება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ზოგიერთი ფილოსოფიური პოზიცია ემპირიული მეცნიერებიდან გამომდინარეობს. ასეთი შემთხვევები სცდება ექსპერიმენტისა და დაკვირვების ფარგლებს.

მკვლევარს, რომელსაც სწამს ყოვლადბრძენი შემოქმედისა, ასევე სწამს ადამიანის თავისუფალი ნებისა და იმისა, რომ დეტერმინიზმი სირთულის გარკვეულ ეტაპზე უძლური ხდება. რწმენაზე დაფუძნებული პოზიცია უარყოფს შემთხვევითობას, როგორც ღმერთის კანონებთან შეუთავსებელს. შემთხვევითობის ცნება ასახავს კაცობრიობის სიბრმავეს შესასწავლი მოვლენის უკან მდგომი მიზეზებისა და მიზნების მიმართ. მორწმუნე მკვლევარს შეუძლია ახსნას განსხვავება კოლექტიურ და ინდივიდუალურ ქცევას შორის მაშინ, როცა სხვები უარყოფენ მსგავს მსჯელობას, სჯერათ რა ადამიანის გონების უნიკალურობისა და სამყაროში მის აღმატებულობისა სხვა დანარჩენზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველი ძალისხმევა არის ადამიანის მისწრაფება, რომელიც გამოხატავს თავის იდეოლოგიურ, ინტელექტუალურ და ფილოსოფიურ პოზიციას. ეს უნდა გვახსოვდეს სამეცნიერო ნაშრომების კითხვისას.

**რედაქტორი:**

აბდელვაჰაბ მ. ელმესირი (1938-2008) იყო ინგლისური ლიტერატურისა და კრიტიკული თეორიის საპატიო პროფესორი კაიროს აინ შამსის უნივერსიტეტში, ასევე საყოველთაოდ ცნობილი ინტელექტუალი და საზოგადო მოღვაწე. როგორც ნაყოფიერმა მწერალმა, მან ბევრი სტატია გამოაქვეყნა; ასევე არის სხვადასხვა თემაზე დაწერილი სამოცი წიგნის ავტორი, მათ შორისაა სიონიზმის, მოდერნიზმის, პოსტმოდერნიზმის, სეკულარიზმისა და მატერიალისტური ფილოსოფიის და ა.შ. მის ალბათ ყველაზე ცნობილ ნაშრომს უწოდებენ მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან არაბულ ენციკლოპედიას: „ებრაელების, იუდაიზმისა და სიონიზმის ენციკლოპედია“, 8 ტომი (The Encyclopedia of Jews, Judaism and Zionism).



---

---

## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

**იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია** წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

სამეცნიერო წრეებში გაბატონებული დასავლური კულტურის პარადიგმა ტენდენციურობის დღეს არსებული ყველაზე მიღებული და ფართოდ გავრცელებული ფორმაა. მნიშვნელოვანია მისი გავლენა მუსლიმურ სამყაროზე და ყველა ტიპის კვლევაზე. რამდენად სწორი იქნება მუსლიმი მკვლევრებისა და სწავლულებისთვის ამ პარადიგმის მოთხოვნებზე მორგება, ხოლო მუსლიმი საზოგადოებისთვის „რეფორმირება“ ამ პარადიგმის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად?

ელმესირი ფილოსოფიური პოზიტივიზმის, როგორც ცოდნის მოპოვების გზის, წინააღმდეგი იყო. ელმესირი მიიჩნევდა მას იმპერიალისტური ეპისტემოლოგიის ნაწილად, რომელშიც რენესანსი დასავლური აზროვნებისა და თეორიების გადმოტანას, ასევე უტილიტარულ მატერიალიზმზე ფოკუსირებული უცხოური პარადიგმის ათვისებას და მუსლიმთა აზროვნებასა და საზოგადოებისთვის მის ძალად თავზე მოხვევის მცდელობებს გულისხმობდა. მისი აზრით, მსგავსი მოვლენა განვითარების მოდელად არ შეიძლება იყოს მიჩნეული.

წინამდებარე ანთოლოგიაში შესული ნაშრომების კოლექცია იკვლევს და კრიტიკულად აანალიზებს იმას, თუ რატომ აითვისეს მუსლიმმა სწავლულებმა მუსლიმთა სამყაროს სოციო-ეკონომიკურ-რელიგიური რეალობისთვის უცხო პარადიგმები, ტერმინები და კვლევის მოდელები, ასევე იკვლევს მოცემული ჩარჩოს, როგორც ცოდნის მოპოვებისა და ადამიანის ბუნების შესწავლის ერთადერთი რაციონალური გზის, გამოყენების შედეგებს.

